№ 150 წელიწადი I.

# სამშობლო

კვირა 9 აგვისტო 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ს ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

- ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 6 აგვისტოდან ნაჩვენები იქნება:

სენსაცია! **ეკლის გვირგვინი** სეზონის თაიგული.

სენსაციური დრამა 4 ნაწ. ნათამ. ქენი პორტენის მონაწილეობით.

გომონის ქრონიკა 51/ბ. მიმდინარე ცხოვრებიდან.

**ორი მაკსი.** დიდი მხიარული კომედია 2 ნაწ., ცნობილი მაკს ლინდერის მონაწილეობის.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება „ვანიუშას ბავშვები“. დრამა 4 ნაწილათ, მონჟუხინის მონაწილეობით.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით სადგურ მიხაილოვში (ხაშურში) დამდეგ სამოსწავლო წლის დასაწყისიდგან გაიხსნება სრულ-უფლებიანი

**საქალებო გიმნაზია.**

თხოვნები და ყველა საჭირო საბუთები—მოსამზადებელსა, I, II, III, IV და V კლასებში მისაბარებლათ მიიღება სავაჟო გიმნაზიის კანცელარიაში დ. მიხაილოვში, თფილისის გუბერნია. დღე გამოცდებისა გამოცხადებული იქნება. 2—2.

მიხეილ მოშიაშვილი

ამით საყოველთაოთ აცხადებს — ვინაიდან მიღებული გვაქვს

დიდ ძალი საქონელი

რუსეთში ცნობილი **პურის ფქვილი** სხვადასხვა ფირმების

საქონელზე ფასები დაუკლით. მეოთხე №-რი, (ცალი) რომელიც იყიდებოდა ჩვენთან 13 მან. ამ ჟამად იყიდება 12 მ. 60 კ. სხვა ხარისხის ფქვილშიც დიდი განსხვავებაა ფასებში. (ტომარაზე 40 კაპ.) ისარგებლეთ შემთხვევით. 3-2—

ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა მომავალი ენკენისთვიდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნის

**ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ სკოლას ბაღით.**

სწავლის ფასი თვეში 10 მ. ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკლებული

**მ. ზ. კვინიხიძის**

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანბანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი

ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**კრძო ექიმი** მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ.

მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე

უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველვვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

გაზეთი „სამშობლო“ თბილისში

მოიკითხეთ კანტორა „განათლებასა“ და მის დამტარებლებთან. აქვე მიიღება ხელის მოწერაც. ოლღას ქუჩა, 6.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„განათლება“**

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „სამშობლო“, „თანამედროვე აზრი“, „ემშაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკასკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „შმაგი“ და „ხათაბალა“. იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავში“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბეგლარ ახოსპირელისა, „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი. „ჯორ-ზაქარა“—ს. მგალობლიშვილისა, „ერი და ჩვენ“—ანჩინისა, „ჭეინეს ლექსები“, „ქართველების გამაჭმადიანება“ და სხვა ახალი წიგნები.

მიიღება ხელის მოწერა იროდიონ ევდოშვილის ლექსთა კრებულზე.

აგენტები ვალდებულნი მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе. კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

ქ-ნ ელისაბედ ხოჯევანოვის ქალთა პროგიმნაზიაში მისაღები და ხელმეორე გამოცდები დაიწყება 17 აგვისტოდა.

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული. იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

„ქართველი საქველმოქმედო საზოგადოების“ რწმუნებულმა

**გაბის გონაშვილმა**

რომელსაც დავალებული ქონდა ეყიდა სიმინდი და სხვა პირველ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი სანოვაგე ჩრდილოეთ საქართველოში და თეჯრის ოლქში ქუთაისის, თფილისის და ბათუმის ოლქის მოსახლეობისთვის და ომით დაზარალებულ მცხოვრებთათვის—გახსნა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე რიქინაშვილის სახლში სიმინდის საწყობი, სადაც საუკეთესო სიმინდი ფუთი იყიდება თვრამეტ შაურათ. 3—1.

## ომის დღიური.

გუშინწინდელმა დეპეშამ მეტად მნიშვნელოვანი ცნობა მოგვიტანა. კოვნო გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში და მის აღმოსავლეთით გადმოვიდნენ. ეს დიდი ფაქტია, უფრო დიდი, რა თქმა უნდა სტრატეგიულად, ვიდრე ვარშავის და ვისლის ხაზის დატოვება. თვალები არ უნდა ავიხვიოთ და მდგომარეობას პირდაპირ შევხედოთ, კოვნო ბურჯი იყო მთელი ნემანის ხაზისა და მაშასადამე საფარი მეორე ძლიერ და მთავარ პოზიციისა, კოვნო-გროდნო-ბრესტის ხაზისა. კოვნო შემაერთებელი კვანძი იყო ბალტიის მხრის რაიონისა და მთავარ ცენტრალურისა. კოვნო ამასთანავე ერთად ჰფარავდა ოსოვეცის რაიონს და მის აღება ამ რაიონის ბედსაც სწყვეტს. კოვნოს აღება პირდაპირი დამუქრებაა ვილნოს წინააღმდეგ. ერთი სიტყვით ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკიდურეს პესიმიზმს უნდა მივეცეთ. სრულიად დამშვიდებით უნდა შევხვდეთ მას. იბადება მხოლოდ კითხვა, შეებმება რუსის ჯარი მთავარ პოზიციით გერმანელებს და დაიწყებს მთავარ შეტაკებას, თუ არა, საერთო სტრატეგიული მდგომარეობა ამას ხელს არ უწყობს, მაგრამ მიუხედავად ამის, შეიძლება რუსის ჯარმა მაინც აირჩიოს აქ მთავარი ბრძოლის გამართვა. გერმანელები ყოველ ზომას ხმარობენ, რომ აიძულონ რუსის ჯარი ასეთი ბრძოლისათვის დარაც სწადიან მოპირდაპირეს, ის მეორე მხრისათვის ხელსაყრელი არ არის, იმავე დეპეშის ცნობით, რუსის გემებს რიგის ყურე დაუტოვებია, მაშასადამე აქ გერმანელები გემების ფართო ოპერაციას დაიწყებენ და საზღვაო მოქმედებას დაუკავშირებენ ხმელეთით მოქმედებას. რიგის საკითხი მორიგ საკითხად ხდება და ბალტიის მხრით საქ. მის გამწვავებას და გართულებას უნდა მოველოდეთ. შტაბის დეპეშა ახლა ცენტრში ბრძოლის პირს საზღვრავს ოსოვეც-ბრესტის ხაზით და ჩრდილოეთით რიგის და იანოვის ხაზით (მდ. ვილიაზეა; კოვნოს აღმოსავლეთით). მკაცრი ბრძოლაა ოსოვეცის წინააღმდეგ. ცენტრში გერმანელების მთავარი ცდა მიმართულია ქვემო ბობრის, ბელსკის და ჩერენკისაკენ მიმავალ რკინის გზის რაიონებით. ცხარე ბრძოლაა აგრეთვე ვლოდავას რაიონში. გამწვავდა მდგომარეობა ნოვოგეორგევსკთანაც. აქ გერმანელების ჯარს ვკრის და ნარევის შუა მდებარე სიმაგრეები დაუპყრიათ. რა თქმა უნდა, ნოვო-გეორგევსკმა მას შემდეგ რაც რუსის ჯარმა დატოვა ვისლის და ნარევის ხაზები, თვისი მნიშვნელობა დაჰკარგა და ამ ჟამად იგი მხოლოდ დამხმარებელის როლს თამაშობს. იგი გერმანელების საკმაო ჯარს აბანდებს და ამიტომ ეხლა გერმანელები ცდილობენ მის დაპყრობას.—ვლოდავას მხრით გერმანელები ცდილობენ ბრესტისაკენ შემოჭრას. გრანდიოზული ბრძოლის კრიზისი მწიფდება და მოკლე ხანში უფრო დიდათ მნიშვნელოვან ამბებს უნდა მოველოდეთ.

ი. გე—ვა—ლი.

(„ს. ფ“)

## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 6 აგვისტო. ოფიციალური. ღამის 11 საათი. ფორტის დიდ ნაწილზე საარტილერო ბრძოლაა, განსაკუთრებით მდ. უკაზის ორივე ნაპირზე პლესი-რუავენვრას რაიონში, სადაც ჩვენ ზარბაზნები დავუშინეთ მტრის სატრანსპორტო მატარებელს.

არგონებში პოდსტუნოვთან გერმანელებმა 285 მეტ. მაღლობზე ააფეთქეს ნაღმი, რომელსაც ჩვენი სიმაგრეებისათვის ზიანი არ მოუტანია. ვოგეზებში მტერი მხოლოდ არტილერიით ესვრის ჩვენს პოზიციებს. გუშინ შესამჩნევათ წინ წავიწიეთ და ხელში ჩავიგდეთ 5 ტყვიის მტყორცნელი და რამდენიმე ტყვე.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 6 აგვისტო. გენერალი იან გამილტონი იტყობინება, რომ გალიპოლის ნახევარ კუნძულზე სამხედრო მოქმედება გამოიხატებოდა მტრის პოზიციებზე იერიშების მიტანაში და ახალი დესანტის გადასხმაში სუვლას ყურეში. ტყვეების სიტყვით, ოსმალოებმა დიდი მაშველი ჯარი მიიღეს და ეცადნენ შემოტევას, მაგრამ ჩვენ ეს ერთი დღის წინ შევიტყვეთ და გავაფრთხილეთ მტერი. ამის გამო ბრძოლას სასტიკი ხასიათი ჰქონდა. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოგვივიდა.

სუვლაში დესანტის გადასხმა მოხერხებულათ მოხდა, მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალოებმა თავის ძალა დიდ ფრონტზე გაშალეს. ამის გამო ჩვენმა ჯარმა შესამჩნევ წარმატებას ვერ მიაღწია სუვლაში. უკანასკნელ კვირაში ჩვენ გავამაგრდით ჩვენს პოზიციებზე. ჯარში სულიერი განწყობილება საუცხოვოა.

**ბუქარესტი.** 6 აგვისტო. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ოფიცრები დარდანელიდან კონსტანტინოპოლში იყვნენ გამოწვეულნი. მათ ჰქონდათ ხანგრძლივი თათბირი სამხედრო სამინისტროში ენვერ ფაშასთან, მიიღეს თუ არა ინსტრუქციები, ოფიცრები ფრონტზე დაბრუნდენ.

**სოლუნი.** 6 აგვისტო. მიტილენიდან იუწყებიან, რომ გალიპოლის ფრონტზე სასტიკი ბრძოლაა, ოსმალების ზარალი ურიცხვია, მოკავშირეთა მსხვილი კალიბრის იარაღებით მიყენებული.

**სტოკჰოლმი.** აკრძალულია დამარილებული კონსერვების გატანა.

„ფორვერტსის“ ცნობით, რეიხსტაგში სოციალისტებმა დაადგინეს, ხმა მისცენ 10 მილიონიან სესხს საბიუჯეტო კომისიისთვის. გამოუცხადეს მთავრობას რომ მოელიან საშუალო სუსტს მოსავალს.

**ტოკიო.** პრესა დიდს, პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს გრაფ ოკუმას მიერ—

რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩების ნახვას, რომელთაც პირველი მინისტრი სათითაოთ და ხანგრძლივ ეთათბირა.

**თეირანი.** 7 აგვისტო. მუსტოფი-ელ-მამალეკის კაბინეტი ესწრაფვის ნეიტრალიტეტის დაცვას, მხოლოდ, რადგან ეს კაბინეტი ორი თვის განმავლობაში დემოკრატიული პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც თანაუგრძნობს გერმანიას. საჭიროა სანამ მას ვერწმუნებოდეთ ფაქტიურათ დაგვიმტკიცოს თავისი მისწრაფება ნეიტრალიტეტისადმი.

**კავკასიის არმიის შტაბიდან.**

7 აგვისტო ოფიციალური. მთელ ფრონტზე სიწყნარეა და შეტაკება არ მომხდარა.

**ლონდონი.** 7 აგვისტო. გუშინ საღამოს ჩამოვიდა ორი გემი 175 მგზავრით და 216 მატროსით რიცხვით 423 კაცი, რომლებიც „არაბიკზე“ იმყოფებოდენ. უმრავლესობას საცოდავი შეხედულება აქვს, ყველანი თითქმის ჩაუცმელია, უქუდოთ და თავში დაჭრილი არიან. ისინი ავტომობილებით სასტუმროებში წაიყვანეს და მედიკური დახმარება აღმოუჩინეს.

ნიუიორკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ „არაბიკის“ დაღუპვამ ვაშინგტონში დიდი სენსაცია გამოიწვია, მაგრამ ჯერ ოფიციალური ზომები არ მიუღიათ.

6 აგვისტო. გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა შვეციის გარეშე საქმეთა მინისტს შემდეგი მადლობის დეპეშა გაუგზავნა, შესახებ რუსის ინვალიდებისა, რომლებიც გერმანიიდან მოდიოდენ:

„გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ, გადაეცეთ შვეციის სამეფო მთავრობას, მადლობა იმ ყურადღებისათვის, რომელიც შვეციის მთავრობამ აღმოუჩინა რუსს ინვალიდებს, რაცა ისინი შვეციაში ჩამოვიდენ.

**რომი.** 6 აგვ. ოფიციალური. ჩვენმა არტილერიამ მტრის სიმაგრეს პოცვალტისას დიდი ზიანი მიაყენა, მისი დამცველი იძულებული იყო დაეტოვებინა იგი. მტერი შეეცადა ჩვენი ჯარის უკან დახევას, მაგრამ ამაოდ. ჩვენ დავიჭირეთ მტრის თხრილები დრეიცინეხუტის მახლობლათ. 29 კაცი დავატყვევეთ.

**კოპენჰაგენი.** დანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს გერმანელების მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევაზე და მიანდო თავის ელჩს ბერლინში, რომ გამოუცხადოს გერმანიის მთავრობას ენერგიული პროტესტი.

**ლონდონი.** ინგლისის გემი „დნესტლე“ ჩაიძირა გერმანელების ნაღმისაგან.

**ვაშინგტონი.** მთავრობამ ბამბა სამხედრო კონტრაბანდათ გამოაცხადა.

**ლონდონი.** 6 აგვისტო. გუშინ დილით ლივერპოლიდან გაემგზავრა „არაბიკი“ ნიუიორკს. დღეს 9 საათზე ის ჩაიძირა გაუფრთხილებლათ, მეორე და მესამე კლასის მგზავრებისა მომეტებული ნაწილი ამერიკელები არიან.

**სევასტოპოლი.** 6 აგვისტო. ოსმალეთის გემი ნახშირით სავსე კონსტანტინოპოლში მომავალი ჩვენმა სუმბარინამ დალუპა. კამანდა გადარჩა.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

**გერმანიის ახალშენთა მინისტრის წერილი მეკლენბურგის ჰერცოგისადმი.**

გერმანიის ახალშენთა მინისტრი თავის წერილში მეკლენბურგის ჰერცოგს ალბრეხტს წერილით ანუგეშებს, რომ გერმანიამ ევროპაში გამარჯვებისა გამო დაკარგა ახალშენები.

ეს აზრი, რომ ინგლისთან ბრძოლაში გერმანია თავის ახალშენებს ვერ დაიცავდა-უკვე ბისმარკმა გამოსთქვა.

მხოლოდ ევროპაში გაძლიერების შემდეგ შეუძლია გერმანიას დაიცვას თავისი ახალშენები. ინგლისთან ბრძოლაში გერმანიას საკმარისი საშუალება აქვს, რომ ხელი შეუშალოს მას ახალშენების შენარჩუნებაში. გერმანიას სჭირდება ახალშენები ნედლი მასალის გამოსატანათ, როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგაც.

და ის შესძლებს ბისმარკის აზრის განხორციელებას.

**„ტაიმსი“ მოკავშირეების მოქმედებაზე.**

„სრულიად ბუნებრივია, სწერს ტაიმსი“, რუსების შეკითხვა, თუ რას შვებიან ამ კრიტიკულ მომენტში დასავლეთის მოკავშირეები“-ო. ჩვენი პასუხი ისაა, რომ ჩვენ ფრონტზე ვიჭერთ 2 მილიონ გერმანელებს. ამას გარდა ვცემთ ოსმალებს და არ ვუშვებთ მათ კავკასიის ფრონტზე. გერმანიამ გამოიყვანა ბრძოლის ველზე მთელი თავისი მაქსიმუმი ასეთ შემთხვევაში ჩვენ თავდაჭერილათ და გულგრილათ უნდა ვმოქმედობდეთ. ჩვენ იმედი გვაქვს რუსეთის და რუსეთს იმედი უნდა ქონდეს ჩვენი და მოკავშირეთა სრული ერთობის შეურყევლობით მივაღწევთ გამარჯვებას.

**მოსკოვი.** რიგის ფაბრიკები და ქარხნები ნიჟნი ნოვგოროდში გადაიტანეს.

**ათინა.** უკან დახევის მოლოდინში ოსმალები ამაგრებენ მეორე გასამაგრებელ ხაზებს აჯი-ბაბა და გალიპოლის შუა.

# დეპუტატ ა. ჩხენკელის სიტყვა.

(გადმობეჭდილია „თან. აზრის“ 131 №-დან).

წარმოთქმული დუმის პირველ აგვისტოს სხდომაზე, სადაც არჩევდენ კანონპროექტს განსაკუთრებულ სამხედრო თათბირის დაარსების შესახებ.

ერთი წელიწადია, რაც ომი დაიწყო და დუმა მხოლოდ დღეს შეუდგა საკანონმდებლო მუშაობს. დღემდის დუმა მისი უმრავლესობის სახით, მხოლოდ ოვაციებს და მანიფესტაციებს უმართავდა ეგრეთ წოდებულ მთავრობასთან შეერთებისა და მონობის გამტკიცებას. მთავრობა ომს აწარმოებდა, დუმა კი მას ტაშს უკრავდა. შედეგათ კი მოყვა საშინელება, უნდა ვსთქვა, სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი. ჯარი ყოველმხრივ გაქურდეს. (მარჯვნივ ძლიერი ხმაურობაა).

თავმჯდომარე ვარუნ-სეკრეტი დეპუტატს სთხოვს, რომ მან უფრო შესაფერი გამოთქმა იხმაროს.

ა. ჩხენკელი განაგრძობს:

— სამხედრო ძალები უსაჭიროეს და უპირველეს საგნებს მოკლებული, ჯარი, სისხლისაგან დაცლილი, უკან იხევს. მთავრობა გრძნობს პასუხისმგებლობას, რომელიც მას ქვეყნის აურაცხელ უბედურების გამო თავს დაატყდა და ჩქარობს, რომ ეს პასუხისმგებლობა დუმას თავზე მოახვიოს. ამ აზრმა, ბატონებო, გამოიწვია ის მოვლენა, რომ დღეს მთავრობას თქვენდა განსახილველად თავის კანონპროექტი შემოაქვს. მთავრობა სახელმწიფო დუმის წევრებს სამხედრო სამინისტროსთან განსაკუთრებულს თათბირში იწვევს და ამით მას სურს, რომ თავის დენაშაულობაში პალატაც მოზიარეთ გაიხადოს. (მარჯვნივ და ცენტრში საშინელი ხმაურობაა და პროტესტებია).

ვარუნ-სეკრეტი კიდევ აჩერებს დეპუტატს და სთხოვს, რომ შესაფერი გამოთქმები გამოარჩიოს.

ჩხენკელი განაგრძობს: სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეს და კერძო წევრებს სამხედრო სამინისტროსთან არსებულ თათბირში მონაწილეობის უფლება არ ქონდათ. ამით მათ სულ მთლიანათ გააქარწყლეს ის მცირე უფლებებიც, რომელიც დღევანდლამდე დუმას შერჩა. მათ ეს ნაბიჯი დუმის დაუკითხავათ და მის დაუდასტურებლათ გადადგეს. სამხედრო სამინისტროსთან არსებულ თათბირში მიწვეული სახელმწიფო დუმის წევრები ჯარის საჭიროების დამაკმაყოფილებელ კომისიის პირდაპირი ხელმძღვანელნი არ არიან, ისინი სამხედრო მინისტრის მრჩეველნი არიან, იმ სამხედრო მინისტრის, რომელსაც, პროეკტის ძალით, მთელი უფლება ეძლევა, თითქმის დიკტატურა. და არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ერთი მხრით—უფლების დიკტატურამ და მეორე მხრით—სრულმა უუფლებობამ ქვეყანა ჯურღმულის პირზე მიიყვანა. და ახლა კი, როცა დიკტატურა კანონდება, თქვენ გსურთ, რომ ქვეყანა მომავალ განსაცდელისაგან იხსნათ! ჩვენ ვიტანჯებით არა დიქტატურის უქონლობით, არამედ მისი სიუხვით, მისი ყოველ სფეროში განუსაზღვრელათ გამეფებით. 150 მილიონი მცხოვრებნი მთავრობამ უსიტყვო არსებათ გადასქცია, რომელთაც უფლება აქვთ ზღვა-სისხლი ღვარონ, მაგრამ საწინააღმდეგოთ ხმის ამოღების ნება კი არა აქვს! მუშებს, რომელნიც თავის პირობების გაუმჯობესებას ელტვიან, სახელმწიფო ღალატს აბრალებენ. მერე ვინ მოახვია მათ ეს ბრალდება? სწორეთ მათ, რომელნიც თქვენ თვითონ მოღალატეებათ სცანით, სადაა იმის გარანტია, რომ მუშები, რომელთაც თქვენ თათბირში შემოვლენ, სულ სხვა ალაგს არ მოხვდებიან,—თავს არ ამოუყოფენ შორეულ ციმბირში? თქვენ გჭირდებათ არა მუშები, არამედ სტატისტები, რომლებსაც, სურვილისამებრ თქვენი ანტიხალხური ნაბიჯები გინდათ მიაკუთნოთ. ეს კიდევ ცოტაა! მთავრობის წიაღში შრომის მილიტარიზაციის პროექტი მზადდება. ქარხანა ფაბრიკებთან მთავრობას სურს გადაჯაჭვოს მუშები, სურს სამხედრო მოსამსახურეებათ აქციოს ისინი, სურს წაართვას უფლება არა მარტო საქმით, არამედ სიტყვითაც, რომ შრომის უსაზღვრო ექსპლოატაციის წინააღმდეგ მათ ხმა ვერ ამოიღონ. მრეწველები უკვე შეამდგომლობენ, რომ ამ ომიანობის დროს მოისპოს ყველა ის შეღავათი, რომელიც შრომას იცავდა, და აი პატრიოტული მოლაპარაკების შედეგი. ხდება არა მრეწველობის მილიტარიზაცია, არამედ მოგებათა მობილიზაცია. (მემარცხენეთა სკამებიდან ისმის ხმები: „ვაშა“).

ჯარისთვის იარაღის მიწოდება კი არა, ხალხის ფულით მრეწველთა ჯიბეების გასქელება ხდება. (მარცხნიდან ტაში).

— ბატონებო თქვენი მოვალეობაა სიმართლე სთქვათ. დუმამ იცის სიმართლე, მაგრამ არ სურს, რომ სთქვას, და ამ დარბაზის კარებს ხურავს, რომ მთავრობას ეჩურჩულოს.

— დუმის წევრო ჩხენკელო,—აჩერებს მას ვარუნსეკრეტი,—მე თქვენ სიტყვებს დუმის შესახებ უალაგოთა ვსთვლი; ის არ შეეფერება დეპუტატს. გთხოვ საკითხის არსებით მხარეზე ილაპარაკოთ.

— მაგრამ არის, ბატონებო, მეორე საკითხიც,—განაგრძობს ორატორი,—ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ერთად ერთი უფლება და გადვიქცეთ იმ ორგანოთ, რომლის წინაშე როგორც აქაურ, ისე ფრონტის მთავრობის ორგანოებმა პასუხი უნდა აგოს და თქვენ კი რას შვრებით? თქვენ განსაკუთრებულ თათბირზე მიდიხართ. ნება მომეცით წაგიკითხოთ ერთი სიტყვა, რომელიც ინგლისის მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა რუსეთს უძღვნა. და რომელზეც კადეტების ორატორმა აჯემოვმა მიგითითათ ეს სიტყვა გაზეთ „რუსკოე სლოვოში“ გამოქვეყნა. ტელეგრაფის სააგენტომ, რასაკვირველია, იგი არ დაგზავნა. ჩხენკელი ლოიდ ჯორჯის სიტყვას კითხულობს:

— აღმოსავლეთით ცა მწყრალათ მოიღუშა. ვარსკვლავები შავ ღრუბლებს მოეფარა. მე ამ ჰორიზონტს გავჩერებივარ უშიშრათ, თუმცა მოუსვენრათ, კი მე ამ ცაზე ნათელ ხაზს უკვე ვხედავ ის ნათელ ფერს ღებულობს. ჩვენმა მტერმა არ უწყის რას ჩადის თავის ძლევამოსილ მსვლელობით. განა არ უწყის, რომ თავის საწაულმომქმედ არტილერიით ის რუსეთის ბორკილებსა გლეჯს, ამსხვრევს იმ დაჟანგულ ბოქლომებს, რომელსაც რუსეთის ხალხის ძალა ყავდა ჩამწყვდეული. ის უკვე დგება, ის ხალხი თავის მძლავრ ფრთებსა შლის, დამხუთავ ჯაჭვებისაგან თავისუფლდება“... და სხვა.

— და აი, ბატონებო,—განაგრძობს ჩხენკელი,—ჩვენი საკითხების შესახებ რას ამბობს ინგლისის მინისტრი. მან ეს საკითხები გაიგო, მაგრამ თქვენ ვერ გაიგეთ იგი. მე მივმართავ კადეტებს, რომელნიც ლოიდ ჯორჯს ყოველთვის სახელმწიფო მოღვაწის ნამდვილ მაგალითად სახავენ. ინგლისის მინისტრს რატომ დღეს არ ეთანხმებით?

— ვინ გითხრათ, რომ არ ვეთანხმებით?—იძახის ა. შინგარიოვი, რომელიც კარებისაკენ მიდის. (საერთო სიცილი).

— მთელი თქვენი ტაქტიკა იმას ამტკიცებს, რომ თქვენ ლოიდ ჯორჯის აზრებს არ ეთანხმებით,—ეძახის მას ბათუმელი დეპუტატი.

— დუმის უმრავლესობა იმავარივე დარჩა, როგორიც აქამდე იყო—იმ მთავრობის მომხრეთ, რომელსაც აქ ალაგი არ უნდა ქონდეს. რა გვითხრა ჩვენ მთავრობამ იმ თავმჯდომარის პირით, რომელიც ხალათში და ქოშებშია გამოწყობილი?

# დროს.

ვით ზღვა წვეთებით შეგროვილი, ამაყი, მჩენი,
ღელავს, ბობოქრობს, დედამიწას შესჭედებია,
ისე შენ, წუთით შეაგროვე საუკუნენი,
და მით სივრცეზე ბატონობა მოგნიჭებია.
ნაბიჯი შენი ოდნავ ესმის ჩვენს ყურთა სმენას,
თვალი გხედავს, ისე სცურავ მის წინ სივრცეში,
გზა-გზა გვიტოვებს საკვირველსა ურიცხვს მოვლენას,
ვის ანეტარებს და ვის აგდებ მწარ განსაცდელში!

წინ მოუძღვები ამა სოფლის სიკვდილ-სიცოცხლეს,
ტანჯვას, სიხარულს, სიბერეს და ახალგაზდობას,
და მიწის შვილთა მყუდროებას რა შეახებ ხელს,
მიჰქრი, ავრცელებ ამაღლითურთ მსწრაფლსა მგზავრობას
მოუსვენარი ყურს არ უგდებ მიწის ძახილსა,
შეუჩერებლათ მზის გარშემო მას ატრიალებ,
უხილავ მხედარს, სად მოგწვდება კვნესა ხალხისა
და ამ ბრუნვაში ურიცხვს ცრემლსა, სისხლს ათქრიალებ.

მხოლოთ, როდესაც გამოულევ ტანჯულთ მოთმენას,
წინ აღგიდგება მათი რისხვა მრავალ ხმოვანი,
მაშინ რბილდები ეგებები თითქო მათ ნებას,
მიიპარები უკუნეთში პირ სისხლიანი.
რა წელთა ზღვაში შესცურდები მაცდურ ბუნებით,
და თავს ამოჰყოფ განბანილი, გაბრწყინვებული
ხალხი გიგალობს მთელის გრძნობით, მთელის ოცნებით
შენგან კი იგი მარად რჩება გაწბილებული.

რათ ანთებ გულში აღტაცებას, იმედს, სიხარულს,
თუ, რომ იმავ დროს გსურს ჩააქრო, გაანიავო?
ნუ თუ მარადის გაუწბილებ იმედს დაჩაგრულს?
თუ, განგება გსურს ბედი მისი დაავგვიანო!?

**კატო მიქელაძე.**

## რუსული ენა სახალხო სკოლებში.

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 149.)

იურკევიჩმა სთქვა: „учить ребенка, незнающаго родной азбуки, чужому языку—все равно, заставить дитя, неумѣющаго ходить, ѣздить на лошади“. მართლაც, სანამ ქართული კითხვას რიგიანად არ მიეჩვევა ქართველი ბავშვი, მას რუსულად ერთი სიტყვაც არ უნდა გააგონოთ, თორემ თქვენ დამნაშავე იქნებით ნორჩი ტვინის დაჩლუნგებისა და ისტორიის მსჯავრი არ აგცდებათ. ნიჭიერი პედაგოგებიც ამ კითხვის შესახებ ამ აზრის არიან. ინგლისელი მიულკასტერი ლაპარაკობს: Дѣтство не должно уходить на изученіе иностранныхъ языковъ; дѣти должны сперва хорошо ознакомиться съ роднымъ языкомъ“ (ხაზი ჩემია ნ. ქ.). რატიხიც ამ აზრის არის, აი-რას ამბობს იგი: „Заставляйте сначала все учить на родномъ языкѣ“. სრული ჭეშმარიტებაა-სანამ ბავში არ შეითვისებს დედა-ენას რამოდენიმედ მაინც, მისი ნორჩი ნიჭის უცხო სიტყვებით დატვირთვა უაზრობა იქნებოდა.

მოსწავლის ნიჭის განვითარება, მისი ცოდნით აღჭურვა, გაკეთილშობილება, სულიერად განსპეტაკება და მაღალი კაცობრიული იდეალების მისს არსებაში შთანერგვა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით. არავითარი უცხო ენა, თუ გინდ, ეს უკანასკნელი ძალიან იოლად შესათვისებელიც იყოს, ამ დარგში დედა-ენას ვერ შეედრება და სალი პედაგოგიაც მიტომ მოითხოვს ჯერ სამშობლო ენის შესწავლას და მერე უცხო ენაზე გადასვლას.

სახალხო მასწავლებელთა უმრავლესობამ ყოველივე ეს კარგად იცის; მან იცის, რომ ადამიანების მომზადება მხოლოდ დედა-ენას შეუძლია და ეს აზრი სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობამაც გამოსთქვა წარსული კრების დროს, სადაც რამოდენიმე ქართველი მასწავლებელიც დაესწრო. არ იფიქროთ—სხვებსაც არ ჰქონდესთ თავისი შეხედულება ამ კითხვის შესახებ. გურიის მასწავლებლებს უნდოდათ გაეგზავნათ თავისი წარმომადგენელი, მაგრამ, მრავალი მიზეზების გამო, ეს წმინდა სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ერთმა მასწავლებელმა მოხსენებაც კი დასწერა და ყრილობისაგან ქართული სკოლების შესახებ მისაღები რეზოლიუციის პროექტიც, მაგრამ ნაწერი ნაწერად დარჩა და მისი თავის ადგილზე გამომჟღავნება მოუხერხებელი გახდა. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ქართველი მასწავლებლის სულის კვეთება, მე დაწვრილებით მოვიყვან ერთი მასწავლებლის აზრს იმის შესახებ, თუ როგორი რეზოლიუცია უნდა მიეღო სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა ყრილობას ქართული სკოლების შესახებ, აი ისიც:

იღებს რა მხედველობაში: 1, რომ კულტურის და ხალხის კეთილდღეობის საძირკველს შეადგენს სახალხო განათლება, რომელიც ძირითად რეფორმებს საჭიროებს ჩვენში; 2, რომ სკოლა უნდა მისდევდეს განმანათლებელს მიზანს და უნდა დასტოვოს, ბოლოსაც იქნება, პოლიტიკა; 3, რომ განათლება უცხო ერებისა შეიძლება მხოლოდ მათთვის გასაგები დედა-ენის საშუალებით; 4, რომ აღზრდა განათლება უნდა გახდეს ეროვნული, რათა შეიქმნეს ბუნებრივი, დაახლოვებული, გასაგები და მისაწდომი; 5, რომ თვითეული ხალხის ნაციონალური თავისებურობის პატივსცემა მიუცილებელია, რათა დაცული და განმტკიცებული იქნეს კეთილი განწყობილება „ინოროდცებისა“ რუსის ხალხთან; 6, რომ თავისი ერისადმი სიყვარულის განვითარება გამოიწვევს ბავშვებში პატივისცემასა და ჰუმანიურ დამოკიდებულებას სხვა ხალხისადმი; 7, რომ ბავშვის სულიერი ძალების განვითარება წარმოუდგენელია სხვა ენაზე, არამედ შეიძლება მხოლოდ დედა-ენის მეოხებით; 8, რომ საფუძვლიანი შესწავლა რუსული ენისა „ინოროდცების“ სოფლის სკოლებში შეუძლებელია; 9, რომ ძალდატანებით თავზე მოხვევას რუსული ენისას „ინოროდცებისთვის“ იმის გარდა რომ ანტი-პედაგოგიურია, მოაქვს დიდი ზარალი სახელმწიფოსთვის, ვინაიდან ამწვავებს ნაციონალურ კითხვას,—პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა სახალხო განათლების კითხვათა შესახებ სცნობს მიუცილებელ საჭიროებად, რომ საქართველოს ყველა დარგისა და სახელწოდების სახალხო სკოლებში მთელი კურსის განმავლობაში სწავლა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, რუსულის სწავლება იწყებოდეს არა უადრეს მესამე სასწავლო წლისა და ადგენს: მიმართოს, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობით დაუყონებლივ შეიმუშაონ შესაფერი კანონპროექტი.

დამეთანხმებით, რომ პროექტი საღია და მისი განხორციელება მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს ქართული სკოლისთვის. მერე რად გვინდა იმისთანა საგანი, რომელიც არაფერს არ ჰმატებს ბავშვებს და მათი სულიერათ მოღონიერების საქმეში შესაფერს როლს ვერ ითამაშებს?—იტყვით თქვენ. ზევით მოგახსენებდით, რომ რუსული ენის შეთვისება ჩვენთვის მიუცილებელია არსებულს მომენტში თქვა და, რადგანაც სახალხო სკოლა საჭირო ცოდნას უნდა აწვდიდეს მოზარდს თაობას, ამიტომ, და რომ მოწაფეთა უმრავლესობა მისი (სახალხო სკოლის) დასრულების შემდეგ აღარსად მიდის, საჭიროა—რუსულ ენას ადგილი ექნეს ჩვენს სკოლებში. მართალია, მისს შესწავლას ორი-სამი წელი ვერ მოვასწრებთ, მაგრამ ცოტას მაინც შეითვისებენ და ისიც კარგია. ამას გარდა, თუ სახელმძღვანელოში მოთავსებული მასალა მჭიდროთ შეკავშირებული იქნა გავლილი ქართულს მასალასთან, ამ ენას პედაგოგიური მნიშვნელობაც ექნება, რადგან ცნობილია, რომ „повтореніе есть мать ученія“. თუმცა მასწავლებლები ასე ფიქრობენ და უფრო პედაგოგიურიც იქნება ასეთი მოქმედება, მაინც ეხლახან იძულებული ვართ პირველი განყოფილებიდან დავიწყოთ რუსული ენა და მაშინ, როდესაც ქართული ანბანის გათავება ძლივს მოგისწრიათ, გიხდებათ რუსული გაკვეთილების შემოღება სკოლაში. ეს გარემოება იმდენათ საშიში არ არის, როგორც პირველი შეხედვით სჩანს, თუ საქმეს წესიერად ვაწარმოებთ და თანახმად პედაგოგიის მოთხოვნილებისა ადგილობრივი ცხოვრების ვითარებას დაუქვემდებარებთ რუსული ენის სწავლებას. ცნობილია, რომ პირველს განყოფილებაში მხოლოდ ზეპირად ისწავლება რუსული ენა და მეორე წლი-

ვარუნსეკრეტი. დუმის წევრო ჩხენკელო, მეორეთ გაფრთხილებ: თქვენ სიტყვას წაგართმევთ.

ჩხენკელი. ეხ, ღმერთო ჩემო, თქვენ ვერც კი იგრძენით ის არარაობა, რომლის წინაშეც იყავით...

— ეხლა ვგრძნობთ!—ადგილიდან ყვირის პ. კრუპსკი და ჩხენკელზე ათითებს, ისმის ხმები: არ შეიძლება სიტყვა — „ეხლა ვგრძნობთ", სტენოგრამაში შევიტანოთ?

**ჩხენკელი.** ჩხუბს ნუ სტეხთ რა გითხრა თქვენ მთავრობამ? მან განაცხადა: „დღეს შინაური რეფორმებისათვის დრო არ არისო". მემარჯვენეებმა, ნაციონალისტებმა და ცენტრმა ეს მოიწონეს, მაგრამ ეს რაა! სახალხო თავისუფლების ფრაქციამ ომის დროს თავის პარტია არ არსებულათ გამოაცხადა. დიახ, არ-არსებულია ის პარტია, რომელმაც ამგვარ მომენტში თავის პროგრამის უმთავრესი მუხლი მოსპო.

ქვეყნის წინაშე დუმის წმინდა მოვალეობა იყო ძირითადი პოლიტიკური კითხვები დაესვა და ხალხის შემწეობით მის გადაწყვეტისაკენ სიჩქარით წასულიყო, მაგრამ დუმის უმრავლესობა და მასთან ერთად ევრეთ წოდებული პასუხის მგებელი ოპოზიცია სულ სხვა გზით წავიდა.

— გერმანიის სოციალდემოკრატები?

— ისმის ადგილიდან.

**ა. ჩხენკელი.**—გერმანიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოიღეს.

— აპირობენ, მარა არ შემოუღიათ!

— ყვირიან ადგილიდან.

**ა. ჩხენკელი.** დუმამ იმედები ვერ გაამართლა. მე ამას ხმამაღლა ვადასტურებ...

**ს. ვარუნსეკრეტი.** თუ თქვენ საკითხს კიდევ გვერდს აუვლით, იძულებული ვიქნები სიტყვა წაგართვათ.

— სოციალდემოკრატიული ფრაქცია,

— ათავსებს დეპუტატი,—ამ კითხვის გადაჭრაში ხმის მიცემას არ აპირობს. ის პასუხს არ აგებს იმ მშიშარა და გამყიდველ ნაბიჯებში, რომელსაც სახელმწიფო დუმის უმრავლესობა დგამს...

მარჯვნივ და ცენტრში ძლიერი ხმაურობაა, რაც ორატორის ლაპარაკს ხელს უშლის. რაც შეუძლია, ხმას იმაღლებს და უკანასკნელათ ყვირის:

— ამ მთავრობის დაცვა—ღალატია!

თავმჯდომარე ზარს არაწკუნებს; მარჯვნივ და ცენტრში მკაცრი პროტესტები ისმის.

ა. ჩხენკელი ისევ ტრიბუნაზეა. საშინელი ხმაურობაა. მარჯვნიდან და ცენტრიდან ისმის; „გააგდეთ გარეთ"! მარცხენა ფრთა განუწყვეტელ ტაშის ცემას მოუცავს.

თავმჯდომარის სიტყვა ისმის:

— გთხოვთ ტრიბუნიდან ჩამოხვიდეთ. წინადადებას ვაძლევ დუმას, რომ ჩხენკელი 10 სხდომიდან გამორიცხოს.

დარბაზში არეულობაა. ოპოზიცია თავის ალაგიდან დგება, სოციალდემოკრატები და ტრუდოვიკები გარს ეხვევიან ორატორის ტრიბუნას, რომელზედაც ჩხენკელი ისევ ისე სდგას.

— სტენოგრამს გთხოვთ!—ღელავს ნ. ს. ჩხეიძე.

— სტენოგრამა! სტენოგრამა!—ისმის ადგილებიდან.

თავმჯდომარე შესაფერ განკარგულებას ახდენს და ბათუმის მხრის დეპუტატს საკითხის გამოსარკვევათ სიტყვას აძლევს.

ა. ჩხენკელი. ბატონებო, მე თქვენ მხოლოდ ერთს გეტყვით: სიტყვა ხალხს ეკუთვნის. (ხმები ცენტრში: და არა თქვენ") მის წინ საბედისწერო არჩევანია: მან ან თავი უნდა მოიხაროს კიდევ უფრო საშინელ ახალ საფრთხეს და კიდევ უფრო დამონების წინაშე, ან უნდა გაგლიჯოს მისი შემბორკავი ჯაჭვები, საცოდავ სამი ივნისის დუმას უნდა გადააბიჯოს და უფლება-მოსილათ სთქვას თავისი სიტყვა ომზე და ზავზე.

სოციალდემოკრატები და ტრუდოვიკები გაცხარებით ტაშს უკრავენ. მარჯვნით და ცენტრში პროტესტები ისმის.

ჩხენკელი ტრიბუნას სტოვებს. თავმჯდომარე ზარს არაწკუნებს, სანამ სიჩუმე არ ჩამოვარდება. თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელის სხდომებიდან განდევნის შესახებ საკითხსა სვამს.

— წინადადებას ვიძლევი, რომ ჩხენკელი 3 სხდომიდან გავაძეოთ. დუმას მოღალატეობა დასწამეს და ეს შეურაცყოფა უშედეგოთ არ უნდა დარჩეს. (მარჯვნივ და ცენტრში ტაშის კვრაა).

200 ხმით — 63 ხმის წინააღმდეგ, ვარუნ-სეკრეტის წინადადება მიიღეს.

სოციალ-დემოკრატები პროტესტის ნიშნათ თავის ალაგებს სტოვებენ, ჩხენკელს გარს ეხვევიან და სხდომის დარბაზიდან გადიან.

## პ რ ე ს ა.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ „საქართველოში" ამას წინათ ნ. ნიკოლაძის წერილი იყო მოთავსებული, რომელიც ჩვენმა გაზეთმა სრულიად გადმობეჭდა.

ფედერალისტების ჭკვიანმა პოლიტიკოსებმა ამ წერილში პროვოკაციაც კი გამონახეს და ვებერთელა შხამი დაანთხიეს ვილაც „არა აჭარელის" პირით.

ამის გამო „საქართველო" სწერს.

ნიკო ნიკოლაძე იმდენათ ცნობილი მოღვაწეა, რომ მას ყოველთვის უფლება აქვს **თავისი საკუთარი აზრი** გამოსთქვას იქ, საცა „სახალხოელთა" გულნამცეცა პუბლიცისტები ქვეყანას აყრუებენ თავისი „შინაურული" და შინაგანი სიყალბით და თაღლითობით,—გამოსთქვას აზრი სრული თავისი პასუხის მგებლობით, თუნდაც ამას არ იზიარებდეს არც „საქართველო" და არც საქართველო. ნიკოლაძის წერილი თავისი ფორმით, რომლის გაგებაც სხვადასხვანაირათ შეიძლება, ისეთი მცირედი, არა პრინციპული შეცდომაა, რომელზედაც ბაასი, კამათი და მსჯელობა ათასწილად უფრო დიდი შეცდომაა, და ჩვენ არ გვიკვირს, რომ „სახალხოელთ", რომლისთვისაც პარტიული ჟინი და ჩვენი „ჯობნა" უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ნამდვილი გულშემატკივრობა ქვეყნისა,—მაშინვე ფეხი დაგვაჭირეს და გამოეკამათნენ ნიკოლაძეს; იმ ნიკოლაძეს, რომლისთვისაც ორიოდე ტყუპი წიხლი „სახალხოს" წვრილფეხა შურს არასოდეს არ დაუშურებია. თვით საკამათო საგანზედ ლაპარაკი უბრალო შეჭრაა „ღია კარებში", რადგან მკითხველმა კარგათ იცის ჩვენი პრინციპული შეხედულება აჭარელთა საკითხზე; ეს უკეთ იცის თვით „სახალხომაც".

მაგრამ საყურადღებოა ის ავადმყოფური სიტყვიერება რომელიც „სახალხომ" გადმოან, თხია ამის გამო თავის დამყაყებულ ჟურნალიდან.

რაც შეეხება არსებით საკითხს, თუ რაშია ჩვენი პროგრამა—ეს „სახალხომ" კარგად იცის და ტყუილად სცდილობს ჭუჭყიან სიტყვებში ჩაახრჩოს იგი, რომ თვითონ ამოტივტივდეს. ჩვენს ეროვნულ პოზიციებს ვერ აიღებთ ვერც სალანძღავ სიტყვების კორიანტელით და ვერც იმ, მართლაც, გასალანძღავ საქციელებით, რომელნიც მრავლად მოგეპოვებათ „პარტიაში". თუ დაგვავიწყდათ, გაიხსენეთ, თუნდ უკანასკნელი ამბები ბრწყინვალე პროცესის თქვენი დეპუტატისა, გაიხსენეთ კიტა აბაშიძის გამოსვლა შიმშილობის საკითხში, გაიხსენეთ თქვენი „ბრძოლა" მარცხენა ხელით „ჟარგონის" პრესასთან, რომელიც თქვენივე ფრაზეოლოგიით „შხამსა და ალკოგოლზე" უარესია და მარჯვენით კი ფულის ძებნა ბაქოში ამ „შხამისა და ალკოგოლის" გასავრცელებლად. მოიგონეთ ათასი სხვაც და იქნება ისიც მოგაგონდესთ, თუ სწორედ თქვენი პარტიის ზოგიერთი წევრი რა აზრებს გამოსთქვამდა საკუთრად აჭარელთა შესახებ.

უკანასკნელი ბრალდება-თუ რა აზრებს გამოსთქვამდნენ პარტიის ზოგიერი წევრები საკუთრათ აჭარელთა შესახებ მართლა საინტერესოა, მაგრამ „სახალხოელნი" იმდენ ცრემლებს ღვრიან ეხლა და იმდენს სწერენ აჭარლების შესახებ, რომ მათი „მცირე რამ" მოგონებით განათლება ჯერ-ჯერობით შესაძლებლათ არ მიგვაჩნია. დადგება დრო, როცა მათი უკანასკნელი წაჯი-უკუჯექობაც გამომჟღავნდება.

რაც შეეხება იმას, რომ „სახალხო" ჩვენც გადმოგვწვდა და რუსულ გაზეთის ფილიალად მოგვნათლა-ასეთი, ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო-არ გვაკვირვებს. ყველა საჯაყ საქმეში „სახალხო" იმ ქურდსა ჰგავს, რომელიც თითონვე ჰყვირის: არიქა, ქურდი დაიჭირეთო! ბაქოში თვითონ წაბრძანდნენ, ფულები თვითონ მოაგროვეს რუსული გაზეთისთვის და დაბეზღებით კი სხვებს აბეზღებენ, შეხედეთ, აი, ქვეყნის მოღალატენიო! და როცა დაუმტკიცეს, რომ თვითონ აპირებენ რუსულ გაზეთის გამოცემას, უსირცხვილოთ განაცხადეს, ჩვენ გვაქვს ამის უფლება, რადგანაც ჩვენი რუსული სხვანაირი იქნებაო. თუ „სახალხოს" რისხვამ მანამდე არ მოგვიღო ბოლო, იმასაც ვნახავთ, როგორ დასწერენ რუსულათ ბ. ბ. თ. ღლონტი, არ. ჯაჯანაშვილი და ძმანი მათნი.

### ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო.

სია იმ პირთა, რომელთაც რედაქციას გამოუგზავნეს სამგლოვიარო წერილები. ლექსები და სიტყვები ვაჟა-ფშაველას უდროოდ გარდაცვალების გამო:

ერმალოზ დიმიტრის ძე ებანოიძე—ძირულა; ალექსანდრე ხარატაშვილი—ძირულა; ი. ძერულისპირელი—ჩხარი; სოსო ვარდიძე—ქუთაისი; ამბროსი მუშვან—ქუთაისი; ირ. ტოფაძე; ვარდენ ღვანკითელი—ალიათი; ნიკ. სათიანი—ქუთაისი; დ. ახვლედიანი; ს. საანიშვილი; მუშა გიორგი კაპეტივაძე; კოკი ებრალიძე—ლანჩხუთი; ბიდაუმელი; კოლია გურგენიძე; ბ. კელენჯერიძე; გრიშა ღუჟავა; დ. ბუაჩიძე; კ. გოგინაშვილი—ზესტაფონი

უადგილობის გამო ეს წერილები და ლექსები არ დაიბეჭდება.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით ქუთაისის კლასიკური გიმნაზიაში მდგომარე აგვისტოში მოხდება გამოცდები ყველა კლასებში მოწმობების მისაღებათ. 17 აგვისტოდან იწყება აგრეთვე საექსტერნო გამოცდები სიმწიფის მოწმობების მისაღებათ.

✦ სოხუმის ოლქის დამშეულთა დასახმარებლათ საიმპერიო თანხიდან 1 იანვრიდან გადიდო სულ 322,752 მ. აქედან ამა წლისს 10 იანვარს 150,000 მანეთი, 450,000 ფუთი სიმინდის საყიდლათ, 14 მარტს 100,752 მ.—238,000 ფუთი სიმინდის საყიდლათ; 28 მარტს 46,000 მ. ზემო ნახვენები სიმინდის გადასატანათ ჩრდილოეთ კავკასიიდან. 11 ივნისს 26,000 მანეთი. სიმინდის საყიდლათ. სოხუმის ოლქი სიმინდით დახმარებას კიდევ საჭიროებს. უმეტესათ კი დამშეულია სამურზაყანო.

✦ 7 აგვისტოს, სალამოს 8 საათზე შავიქვის საბჭოს დარბაზში მოწვეული იყო ქარ- შ. წ. კითხ. გამავრცელებელი საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობის კრება. კრებას გამგეობის წევრები არ დაესწრნენ და ამისათვის 28 აგვისტოსათვის გადიდვა. ახალი გამგეობის არჩევის შემდეგ კრება ერთხელ მეტათ არ შემდგარა.

✦ საგუბერნიო სამართველოს ინჟინრებმა ამ დღეებში დაათვალიერეს ქუთაისსა და ხონის შუა გუბის წყალის ხიდი, რომელიც წყალდიდობის გამო დაზიანდა. ინჟინრებმა ხიდი შესაკეთებლათ იცვნეს და საგუბერნიო სასამართლოში თავიანთი მოსაზრებანი წარადგინეს.

✦ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სახალხო მასწავლებლების მიერ კურსებზე დამზადებული კონსერვების გამოფენა დღეს, 9 აგვისტოს, დაიხურება. კონსერვების დიდი ნაწილი უკვე გაიყიდა.

✦ 10 აგვისტოდან ქუთაისიდან სამხედრო მატარებელი დაიწყებს მოქმედებას. რომლითაც წაიყვანებენ ახლად გაწვეულ ჯარისკაცებს.

✦ ამიერკავკასიის რკინის გზათა უფროსის გენერალ-მაიორის ვასილევსკის განკარგულებით, რკინის გზის სადგურებში ბილეთების აღებაში უპირატესობას იმას აძლევენ, ვინც ვერცხლის ან ოქროს ფულს წარადგენს, ე. ი. მათ ბილეთები რიგის გარეშე მიეცემათ დაუყოვნებლივ.

✦ ამ დღეებში ბაზის განატოვმა ჩამოიტანა ჩრდილოეთ კავკასიიდან სიმინდი, რომელიც შეღავათიან ფასებში გაიყიდება. მას პირობები შეკრული აქვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან და კარგი ღირსების სიმინდი უნდა გაიყიდოს 90 კაპ.

✦ ქ. შორის წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ თვის განყოფილება გახსნა ქ. არმავირში (თერგის ოლქი).

✦ დღეს, 9 აგვისტოს, დ. ახალსენაკში სამსონ ფირცხალავა (სიტყვა) წაიკითხავს ლექციას: „სამამადიანო საქართველო" ლექციის ნახევარი შემოსავალი გადაიდება ადგილობრივ წიგნ-საცავ სამკითხველოსათვის.

✦ როგორც მწვანეყვავილიდან გვატყობინებენ, ეს უბანი ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. ღამღამობით მცხოვრებლები უფარნობით დიდ გაჭირებას განიცდიან.

✦ ზედა ლუხვანოს (ლეჩხუმის მაზრ.) მცხოვრებლებმა ქართ. შორის წ. კითხ. გამავრც. საზოგ. ქუთაისის განყოფილების გამგეობაში შუამდგომლობა აღძრეს, რომ გამგეობამ მათ ნება აუღოს ხსენებულ სოფელში სამკითხველოს დასაარსებლათ.

✦ ბათომის ციხის კომენდანტი და ბათომის ოლქის დროებითი გენერალ გუბერნატორი ცნობილი გენერალ-მაიორი ლიახოვი ქ. ბათომში შემსვლელთა საყურადღებოთ შემდეგს აცხადებს: 1) არავის გარდა სამხედრო პირები ქ. ბათომსა. და ბათომის ოლქში შესვლის ნება არ ეძლევა (ქობულეთის გამოკლებით) 2) იმ პირთ, ვისაც რაიმე დიდი საქმე აქვს ბათომში, უნდა მიმართონ მას თხოვნით ან პასუხიანი დეპეშით, ნაჩვენები უნდა იყოს სახელი, გვარი, წოდება, მდგომარეობა და სხვა; 3) როცა მიიღებენ ნებართვის მოწმობას, მათ ბათომში გამგზავრება უკვე შეუძლიათ, ხოლო თან უნდა იქონიონ მოწმობები. რკინის გზის მთავრობისა და ბათომის ადმინისტრაციისათვის საჩვენებლათ. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს და ბათომში ისე გაემგზავრება, ისინი დაჯარიმებული იქნებიან 3,000 მანეთამდის.

✦ საღორიის აგარაკის მცხოვრებლები ამ ჟამათ უგზოობის გამო დიდ გაჭირებას განიცდიან. კარგი იქნება ქალაქის გამგეობა ყურადღებას დროზე მიაქცევდეს.

## ქუთაისის გუბერნატორის მოგზაურობა გურიაში.

ამ დღეებში გურიას ეწვია ბ. გუბერნატორი, რომელმაც გაეცნო ხალხის მდგომარეობას. მას წარუდგენ სოფლის წარმომადგენლები და მოახსენეს სხვადასხვა სოფლის გაჭირვებანი, რაზედაც სთხოვეს შეღავათი და დახმარება. მაგალითად, შეღავათი თხოვეს შარშანდელი სიმინდის სესხის გადახდაზე, რომ ეს ფულები გადახდილ იქნას ომის დასრულების შემდეგ, რადგან დღევანდელი ათასგვარი გაჭირვების გამო ხალხს არ ძალუძს ეგ სესხის გადახდა.

ზოგიერთ სოფლებზე ირიცხება ძველი. გადასახადი ჯარიმის სახით, ყაჩაღების თარეშის გამო, მთავრობის მამასახლის-ტრაჟნიკების ჯამაგირები და სხ. ამ გადასახადებში ხალხმა თხოვა ბ. გუბერნატორს ყველა წოდების მონაწილეობა, მაგრამ საწინააღმდეგო პასუხი მიიღეს.

წინათ, როცა რაიმე „დანაშაულობის" გამო მთავრობამ დააჯარიმა საზოგადოებები ან დააკისრა მათ მთავრობის მამასახლის-სტრაჟნიკების შენახვა, ამ გადასახადებს მთელი ხალხი ინაწილებდა, ე. ი. ყველა წოდება, ამას თვით მთავრობის წარმომადგენლებიც აღიარებდნენ...

დღეს სულ სხვას ვისმენთ... ხალხი საგონებელშია...

არა სავალდებულო გადასახადები, ჯარიმების სახით, სავალდებულო, „სულიერი სამების" ბეგარა, სასოფლო გზების კეთება და სხ.—აი გაჭირვებულ გლეხკაცობის ხვედრი; მათი უმწეო მდგომარეობის გამომრკვეველი.

საიმპერიო სესხით გადმოცემულ სიმინდს ამ დღეებში მოელიან, რაზედაც შეუდგენ სიმინდის მიმღებ კომისიის არჩევანს.

ჩოხატაურის დაწყებულ სამედმყოფოს შენობის, ოთხკლასიანი სასწავლებლისა და ზოგიერთი სხვა თხოვნების შესახებ განკარგულება გადადებულ იქნა [illegible] ბოლოებამდი.

[illegible]

## მეურნეთა საყურადღებოთ.

დაგვიდგა დრო და საჭიროა ვცდილობდეთ თვითონ ჩვენ—მშრომელნი მეურნენი—გავაუმჯობესოთ ჩვენი ყანა ბოსტნები და არ შევიქნეთ სხვისი იმედის მქონე, თორემ როგორც ვხედავთ, ყანები და ბოსტნები განადგურდა მთელს დასავლეთ საქართველოში და ამ დროს კი ჩვენი თანამედროვე აგრონომებისაგან ნაკლები დახმარება სჩანს ჯერ-ჯერობით. ამიტომ საჭირო იყო ჩვენ შევდგომოდით ახლა პურის (ჭვავის) ესე იგი ხორბლეულობის თესლის შეძენას და თავის დროზე დათესვას, თორემ წრეულს იანვრის დასაწყისშივე შიმშილობა აუცილებელია.

ასე რომ. ჩვენ ყოველთვის თვითონ უნდა ვცდილობდეთ ამისთანა გაჭირვების თავიდან ასაცილებლად ყოველ-გვარი ღონისძიება მივიღოთ.

ვიმეორებ და დაბეჯითებით ვამბობ, რომ მარტო ჩვენი ახალგაზდა აგრონომების იმედები არ გამოგვადგება, რადგანაც მათ არ ძალუძთ ყველას გასწვდენ შესაფერი დარიგება მიაწოდონ.

ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლათ, ჩემის აზრით, საჭიროა სამეურნეო საზოგადოებამ დავგვანახოს სოფლად ყველა პრაქტიკულად მცოდნე მეურნენი, რომელთა რიცხვიც საკმაოდ მოიპოვება გორის მაზრაში თბილისის გუბერნიაში.

გამოცდილი მეურნენი გარდა პრაქტიკულ მუშაობისა, შესაფერ დარიგებასაც მიაწვდის ხალხს.

როგორც ვიცით, დასავლეთ საქართველოში უმთავრესად სიმინდის მოყვანას მისდევენ გლეხები. პურის თესვას ან სულ არ მისდევენ, ან ძალიან მცირე რიცხვი მშრომელი ხალხისა. პურის თესვის შემოღება კი ჩემის აზრით საჭიროა, ჯერ ერთი მით, რომ მიწა ისვენებს მისი მოყვანის დროს, და მეორეც, შესაძლოა, პურმა უფრო კარგი მოსავალი მოგვცეს ამა თუ იმ წელში, ვიდრე სიმინდმა, ამინდის მიხედვით.

მეორე ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ თესლის გაუმჯობესებას. ჩვენ გლეხები უმთავრეს ყურადღებას მევენახეობას ვაქცევთ და ამავე დროს, სხვა ჭირნახულის მოყვანაზე, მის გაუმჯობესებაზე ნაკლებათ ვზრუნავთ. და მაშინ, როცა უპუროთ ვერ გავძლებთ, უღვინოთ კი შეგვიძლია გაძლება.

გლეხები არ მისდევენ მესაქონლეობას, მისი ჯიშის გაუმჯობესობას. საჭიროა სამეურნეო საზოგადოებამ ყურადღება მიაქციონ მესაქონლეობას, მერძეობას მეყველეობას და თან იშუამდგომლოს, რომ დაარსდეს საქართველოს შესაფერ ადგილებში მეურნეობის ეს დარგიც.

მეურნე ვალ. კაკულია.

## სადაური ძირულა.

(ზემო იმერეთი.)

აუწერელია აქაური ვაჭრების თავგასულობა: რომელი საქონელი უნდა ავიღოთ, რომ ერთი სამათ არ ფასობდეს—შევაჭრების დროს ყველას დარდანელის დახურვა აკერია პირზე, თუმცა ნახევრობამ არც კი იცის დარდანელი საჭმელია თუ სასმელი. ავიღოთ მაგ. სიმინდი, რომელიც უსაჭიროეს და უპირველეს ნაკლს შეადგენს აქაური მცხოვრებთათვის; ასე დახედეთ ხარაზებმა და მელვინეებმაც კი სიმინდის აღებ-მიცემობას მიყვეს ხელი და ფუთი სიმინდი ადგილზე მიტანით ოთხ აბაზათ შეძენილი, რვა აბაზათ გააჩინეს; მაგრამ, როგორც შერისხულ იუდეველებს დრო გამოშვებით ევლინებოდათ მხსნელი მეფე—მსაჯულები, აგრეთვე აქაური მცხოვრებთათვის უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი პატიოსანი ვაჭარი ბ-ნი პეტრე უ. ნიორაძე, რომელმაც გამოიწერა რამოდენიმე ვაგონი სიმინდი და ფუთს თითო მანათად და ხან ნაკლებადაც უთმობს მყიდველებს; ამ გარემოებით პირველები იძულებულნი გახდენ ვაჭრობა მეეჩერებინათ, მაგრამ, რადგან ბ-ნ ნიორაძეს დღეს სიმინდი უკვე გამოელია და რკინის გზის ვაგონების უქონლობის გამო, რაც გამოწერილი ქონდა ველარ მიიღო.—იდროვეს „ხარაზ-მელვინ-მესიმინდეებმა" და შენახული სიმინდი ისევე რვა აბაზათ გახადეს ფუთი და აღარც კი რცხვენიათ, რომ მათი „ხრიკები" ყველას შეტყობილი აქვსთ.

წლევანდელმა წყალ-დიდობამ ხომ სულ მოუღო ბოლო ყველაფერს: მგ. ხერი-

მელა და ძირულა ისე ადიდდენ, რომ მთლათ წალეკეს ყველაფერი და აღარც ხიდი და აღარც წისქვილები აღარსად აღარ მოიპოვება, რის გამოთაც ვერსზე უხდებათ მცხოვრებლებს მამასახლისთ ნაყიდი სიმინდის დასაფქვავად ტარება და ორი ზომა „მინდის" ძლევა სხვა მეწისქვილეებთან.

გამუდმებულმა ნიაღვრებმა და სიცივემ ძლივ-ძლივობით ნაყიდი შაბიამანით მორწყული ვენახები სულ გააფუჭა და ლერწებზე მტევნების მაგივრათ მარტო ცარიელი ცონცხები და შერჩა.

მიწები მთლათ დანოყა და სიმინდის მოსავალსაც ძალიან ცუდი პირი უჩანს— ერთი სიტყვით მომავალი წელიწადი დიდ შიმშილობას გვიქადის და რითი უნდა იცხოვროს კაცმა, აღარ ვიცით..

**კოტროულასშირელი.**

# დ. ხარაგოული.

(შორაპ. მაზრ). კიდევ სამკითხველოზე. ყოველ კორესპონდენტს სჩვევია, ამა თუ იმ დაბა-ქალაქში ყოფნის დროს, უპირველეს ყოვლისა მის კულტურულ ავლა-დიდებას მიაპყროს თვალი და მისი ღირებულება ასწონ-დასწონოს. ჩვენც ასევე მოვიქეცით: დ. ხარაგოულის წიგნსაცავ-სამკითხველოზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი და შევეხეთ მის მდგომარეობას; ხოლო ვინაიდან ხსენებულ სამკითხველოს მდგომარეობა, ჩვენ მიერ უნუგეშოთ იქნა აღსარებული, ჩვენც ვეცდებით ამგვარი შეხედულება საფუძვლიანად დავასაბუთოთ. სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგით: გაზეთები: „სახალხო ფურცელი", „სამშობლო", „ახალი კვალი", „თანამედროვე აზრი", „სასოფლო გაზ". და ერთიც რუსული გაზეთი „ზაკავ. რეჩი"; ჟურნალებისა: „თეატრი და ცხოვრება" და „განათლება". ყოველივე ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ, თუ ვიმუყაითებთ, შეიძლება ზემო ჩამოთვლილ ჟურნალ-გაზეთების რიცხვის გადიდება, და თუ ეს არა, რაც არის მისი შეუმცირებლათ შენარჩუნება და ყოველ გვარ მოულოდნელობისგან უზრუნველყოფა მაინც. ხოლო სხვა გამოცემათა შეძენის ცდაც არ უნდა დაიკარგოს.

სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს საბავშო გამოცემათა სრული უქონლობა. საბავშო გამოცემებს, როგორც არიან მაგალ. ჟურნალები: „ნაკადული" და ჯეჯილი" და სხვა საბავშო მოთხრობები, ადგილი არა აქვთ სამკითხველოში. ამ სტრიქონების დამწერი ხშირად ყოფილა მოწამე იმისა, რომ შემოსულა ბავშვი სამკითხველოში, მოკრძალებით აუღია მაგალ., ჟურნალი „განათლება" ან რომელიმე გაზეთი, გადაუფურცლავს და პაწია, უკმაყოფილებით აღსავსე გულით გასულა დარწმუნებული, რომ ის ვერაფერს გაიგებს, მისთვის ყოველივე უცნობია. და ხშირათ ესტუმრებიან ხოლმე ბავშვები სამკითხველოს და ისევ მალე სტოვებენ მას.

გადავიდეთ ეხლა წიგნ-საცავზე; აქ კი სრული სისუსტე მეფობს. სად არიან ჩვენი უკვდავი კლასიკები, მნათობნი ჩვენის ლიტერატურისა; მართალია, არის ბუმბერაზ ილიას წიგნი (მ. გედევანიშვილის გამოცემა), მაგრამ ისიც ვგონებ ვილაც ღვთივ მადლიანმა პირმა უწყალობა სამკითხველოს; თვით სამკითხველოს კი თითქმის არაფერი შეუძენია. აბა სად არის აკაკის უკვდავ ნაწერების ერთი წიგნი მაინც, იმ აკაკის, რომლის გადაცვალებამ მთელი საქართველო შეანძრია და აახმაურა, და თვით დაბრმავებულთ თვალები აუხილა. ბ—ნო, დროა გონს მოვიდეთ! სამკითხველოში თქვენ წააწყდებით მთელ წყებას წიგნებისას: კონან დოილიას რომანები, ჰაუპტმანის, ლ. ანდრეევის, ლ. ტოლსტოის და სხვათა უცხოელთა ნაწერები, ხოლო ჩვენებს იქ ადგილი არა აქვთ. მართალია, ჩამოთვლილ უცხო მწერალთა ნაწერები, სამკითხველოს სხვისგან აქვს მიძღვნილი, მაგრამ ჩვენი მწერლების თხზულებათა შეძენაზე მაინც უნდა იზრუნოს პატივცემულმა გამგეობამ. დიაღ, ყოველივე ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ სამკითხველოს მესვეურებმა. დასასრულ, თუ ჩვენ სამკითხველოს გამგეობას და მის წევრებს უმოქმედობა ვამხილეთ, ცხადია საამისო საბუთიც გვქონია; სამკითხველოს გაღონიერება ესაჭიროება, გამონახვა სახსართა და საშუალებათა, რათა შეიძინოს, რაც აუცილებლათ შესაძენია და გამოწერილ ჟურნალ-გაზეთების მიღებაც საბოლოვოთ უზრუნველყოს. გამგეობა ახალია; ხოლო ჯერ მისგან ახალს არაფერს ვხედავთ. ველით მისგან მოქმედებას და საქმის გაუმჯობესებას.

**ხშირი სტუმარი.**

# საკვირაო ფელეტონი.

## იმერლის ბოდვა და მოგზაურობა.

მადლობა ღმერთს გადავრჩი, ბევრს ეგონა, იქნება ფილიპე ბარბაქაძე თავის ბოდიალს გადაჰყვაო, მარა ამპაა? ბრანწივით გახლავარ. სამი კვირე ბიჭო არ მცალოდა პუტიშესტვიას გადევყევი. ჩემ თავს ვუთხარი, სწორეთ იმ დროს, როცა თვალებ დაპრანწული, გაგანია სიცხისაგან გაპარპალებული, გაშხლართული ჰილოფზე ვგორიალობდი და ხის შტოთი ბუზებს ვიგერიებდი: შე საწყალო, ჩემო გახრეკილო თავო, შავ დღეზე რომ ხარ დაბადებული ქე ვიცი, მარა, რატო არ წახვალ ამ დასაფუფქავ ქუთაისიდან, გეიარ გამეიარე, თვალს წყალი ასვი, ქვეყნის ამბავი გაიგეთქვა. ამის გაფიქრება და წამოვარდი ზეით გადარეულივით, შევხვიე რაც ჰინჰეულობა მქონდა, გევემზადე გასამგზავრებლათ. ამან მკითხა, იმან მკითხა სა მიხვალ კაცო. აა! არ მოგეცეს ჭირი, მე იმგენს ყური არ უგდე! ღმერთმა მოგახმაროსყე თქვენი ქუთაისი, თავისი ჭორებით, გაუტანლობით, მტვერით, ნაგვით, უსაქმობით, ზოგიერთს თავხედობით, ბორჟომის რესტორაციათი, ღამის სიბნელით, ჯანდაბით და ოხრობითქვა და ვდურთე თავი სტანციაში, მე ვთქვი აქადან მაინც პარიადკათ წავალ მეთქი.

დედოუ! იქინა ვარესი ვნახე, ამან მკითხა, იმან მკითხა: ბიჭო, ფილიპე სამიხვალ, და სა? დამანებე, ძმაო, თავი, ღმერთმა მოგახმაროსყე, თქვენი სტანცია თავისი უნასილჩიკობით, თავისი უფაიტონობით, თავისი უსუფთაობით, თავისი სტოროჟების ბრძანებლობით, კასირის უყურადღებობით, თავისი მშვენიერი ბუფეტით, მტვერიანი შაქრით, გამხმარი ბულკით, ამ სიცხეში ადუღებული ზელტერსკითქვა და ვდღუზე ვაკონში თავი.

მივეკუნჩხე ერთ კუთხეში იქნება არევინ დამინახოსთქვა, რავარც იქნა ეინძრა, გადვიწერე პიჯვარი, სამჯერ ეშმაკს მივაფურთხე. ვიტოტყიალეთ, ვიტოტყიალეთ და რავარც იქნა მივედით რიონის სტანციაზე. გადმევედი და რაკი ძალიან გაკვირვებული ვიყავი, რომე ამდენიხანი მოუნდით ქუთაისიდამ რიონამდის, მივედი ერთთა, არ ვიცი სტოროჟი იყო, თუ კანდუქტორი და ვკითხე: პაჟალუსტა, რამდენი ვერსტია ქუთაისიდამ რიონამდისთქვა. ამხედა, ჩამხედა და რუსულათ მითხრა: ნაშტო ტიბე, ვოსემ ვერსტი, მე ვთქვი ნამდვილათ რუსია მეთქი და მეც დოუპორუსკე: ზაჩემ ტაკ მნოგო იხალ პოეზდითქვა? მომაყვირა ნე ზნაიუ, ნე ზნაითო. ვაი თქვენს პატრონსთქვა ვთქვი. გევიხედე კიდო ნაცნობს არ წავატყდიიი!..

— ა! ა! ფილიპე, საით, ბიჭო

— საით და თფილისის ქალაქშითქვა— უთხარი.

— ბიჭო, ფილიპე, თფილისში ახლა ამ გაგანია სიცხეში კაცი წავააა!.

— გაგანია სიცხე კი არა, არმული რომ იყოს, მაინც წავალ და თქვენ ღმერთმა მოგახმაროს თქვენი რიონის სტანცია მისი გაპარუსკებული სტოროჟებით, გამხეკილი ბუფეტჩიკით და ზალაში გაპტვერული სტოლებით და სკამებითქვა.

ვიცადე, ვიცადე და ერთი პირი, რომ კარგათ გამოვიძინე სტოლზე თავ ჩამოდებულმა, მერე რავარც იქნა მოაწია ჩვენმა ქალაქის პოეზდმა. ვდურთე თავი ვაგონში, მარა ადგილი არ გინდა; რომ ნახევრათ მაინც ჩამოჯდეეე!? არ მოგეცესყე ჭირი-გაჩერდი ვაგონის შესავალ კარებთან, მარა ვაი ამისანა გაჩერებას. ხაშურამდის სხრივით ვიყავი გაჩერებული და გლახა ჯორივით ხან ერთ მუხლზე მოვისვენებდი ხან მეორეზე, ეს კიდო არაფერი, რამდენი კარი გაიღებოდა იმდენი ჩემს გვერდებზე გაქონდა ბაყა ბუყი, მინავათი... მინავათი... მიძახოდა ყოველი გამვლელი, მარა მინავათობა რას მიშველიდა, რო ერთ ღვთიან-მადლიანს არ დაეძახა ჩემთვის-მიბრძანდით, ბატონო ფილიპე, აქ ჩვენთან არის ადგილიო. დალახვროს ღმერთმა ამ კაცმა საიდამ იცის რომ მე ფილიპე ვარ მეთქი, ვთქვი გუნებაში და მივედი და დავჯედი, ჩემი დაჯდომა და კანდუკტორის მოსვლა ერთი შეიქნა, ვაშ ბილეთ მომაძახა, შე კაცო ქე არ გიჩვინე ბილეთითქვა უთხარი, და დავიწყე ჯიბეებში ბილეთის ძებნა. იდი სკარეი ტრეტი კლასო მითხრა. ზაჩიმ ტრეტი კლას, ია ვტოროი იმეითქვა, უთხარი სტუფაი სტუფაიო, ამ დროს ბილეთიც ვნახე ნა პოსმოტრითქვა უთხარი გაჩუმდა-თურმე ქე არ შემხედა უბრალოთ ჩაცმულს, იფიქრა მესამე კლასის პასანჟირიაო. ასე რომე თუ საშინაო ტანისამოსი გაცვია თუ გინდა პირველი კლასის ბილეთიც ქონდეს, თუ ძაფით გულზე არ ჩამოიკიდე ბილეთი, და ყოველ წამში არ უყურა კონდუქტორმა, ში გატუცივბს მესამე კლასში თავს. გავიარე სამი თუ ოთხი სტანცია და იმავე კონდუქტორს უთხარი: შენ ჩემო ძმაო, ისეთი აზედა რო მაჰამე მესამე კლასში მაგზავნიდი, მოთხოვაზე ყოჩაღი ხართ და მე რომ ქუთაისიდამ ფეხზე ჩამოვწდი, რატომ ადგილი არ მომეცითქვა.

— ადგილს რავაა... თუ არ იყო რას მოგცემდიო, რაზე იყიდე ბილეთი და რას მოდიოდიო. მოდი ეხლა შენ და ელაპარაკე!

რავარც აყო ჩავაწიე თფილის ქალაქში, სანამ ვაგონიდან გადმოვიდოდი სტანციაზე, ისე ამიჭრელდა თვალი ფეხი ველარ გადავადგი სანამდის ერთმა პასაჟირმა მუჯლუქუნი არ მკრა, პაზბოლითე დაროგუ! გადმევედი ვაგონით. რამ წვიმა, რამ მოთოვა ამდენი ხალხი რაც სტანციაზე იყო, გზა ველარ გევეგენი, ამას დევეტაკე, იმას დევეტაკე, აგერ მიჯლუქუნეს, იგერ გვერდი მკრეს და ასე ჯიკიან ჯიკიანით გავიწიეთ პოდიეზდისაკენ, ვილაცა უკნიდამ მიქიჩავებს, მივიხედე ჩემი კაი მეგობარი, გადამეხვია, გადამპროშტნა-ა! ა! ჩემო ფილიპე, სადა ხარ კაცო, სად დაიკარგე, მადლობა ღმერთს რო ჯანსაღათა გხედავ. მომხვია ხელი და ფაიტონში ჩამსვა, ძალიან მიამა ვთქვი მადლობა ღმერთს აქ მაინც არ მითხრეს რა გინდოდა, რო მოდიოდიო.-მიმიყვანა სასტუმროში დამაბინავა და მითხრა, შენ ეხლა მოისვენე, ჩემო ფილიპე, მე წავალ და ერთი ორი საათის შემდეგ მოვალო, აგისრულდა ყოველი კარგი, მართლაც არ გაუვლია ორ საათს, ჩემს ნომერში თუთხმეტმა მეტმა მოიყარა თავი, შეიქნა გაკითხვა-გამოკითხვა, მკითხეს ქუთეისის ამბავი, მეც გავჩოთქე ჩემებურათ. საღამოს მადლუზიეს თავი საცხა ქალაქს გარეთ, შინ რანაირათ მოვედი უკაცრავათ პასუხია აღარ მახსოვს. გავაჭყიტე თვალები, დავინახე: თავზე დამდგომია ჩვენი ვასო, წამოვარდი და დევეტაკე საპროშტავათ, გადავპროშტე—ფილიპეჯან როდის ჩამოდი, ან რა გინდოდა აქ, რა საქმე გაქ?—მეწყინა მარა თავი შევიმაგრე,— კაცო რას ჩამციებიხარო: რა გინდოდა, რა საქმე გაქ? რა საქმე მაქ და შენი ნახვა მომენატრა და გამოვსწიეთქვა.

— შენ ეს მითხარი, რა ამბავია ქუთაისში.

— რა ამბავი იქნება, ისევე ის არის და ის, მეტი არაფერი. შენ აქაური ამბავი მითხარი.

— აქაურიი?! რა უნდა გითხრა, ფილიპეჯან, სული კბილით გვიჭირავს რაღა, ისეთი სიძვირეა, როგორ გითხრა.

— ვაი, ჩემო ძმაო, სიძვირე და ცხოვრება, შენ ქუთეისში იკითხე, ვაჭრებმა ტყავი გაგვაძვრეს, უბრალო რამეს ვერ იყიდი, რომ დამადლებით და ცხვირის აწევით არ მოგცეს. საქონელი აღარ არის, გაძვირდაო. ეს ოხერი და ეს მუდრეგი, ჩვენდენ კარგათ და გამოპრანჭულათ ჩაცმულ ქალებს ვერსად ვერ ნახავ, რაც უფრო გააძვირეს ფართლეული, იმდენი უფრო უკეთესათ ჩეიცვეს. კაცებია დე, ღმერთმა ამოაგდოს იმისი მომგონი, მეიწყეს დეკოლტების ჩაცმა ქალებივით და თეთრი შარვლები, ბუზი რომ მიეკაროს ყოველ დღე უნდა გარეცხა, და ბუზი იმდენია ქუთეისში რო ტერისას!

— ეგეები ხო აქაც არის, ფილიპეჯან, შენ სხვა თქვი.

— სხვა რა გითხრა, ჩემო ბიძია, აქანა კია, მარა, აქანა მდიდარი ქალაქია და ყველას აქ შეძლება და ქუთეისში, სახში მივა და ჰადი არა აქ საჭმელი, და ბულვარდში რო გამოვა, ზეითზეით დაცოცავს. რავარც ურიის სახში ღორის ხორცს ვერ ნახავ, ისე იმგენის ჯიბეში—ფულს. შენ წარმეიდგინე უბრალო ზაკუსკა დუქანში 7—8 მანათი ჯდება და ეს უსაქმო თეთრ შარვალიანები ყოველ დღე გადაპრუწულები არიან, შენ წარმოიდგინე სკანდალებსაც ახდენენ.

— ე! ე! ჯანდაბა იმათ, ადექი პირი დაიბანე, გავიაროთ. შენ ეს მითხარი ფილიპეჯან, ფული გაქვს?!

— ფული?! რა ფული? რავა, დაპატიჟებას მიპირებ თუ?

— მაშ ვა! წამოდი, ისეთ ალაგას წაგიყვანო, რო შენს დღეში არ გენახოს.

— ჩემი ფულით?..

— მაშ არა და, შე ოხერო, ხომ იცი ზაფხულია, მე ფული ვინ მომცა.

— ძალიან კარგი, რას იზამ დავთანხმდი, პირი დავიბანე, გევიჩისტე ლაზათიანად და გამოვედით გასტინიციდამ, გეიარ გამეიარეთ, მერე საცხა პადვალში ჩევედით, სადილი ვჭამეთ, იქინა ჩვენი კაი ნაცნობიც შამევიდენ, ასთე რომე ჩვენი სადილი გაგრძელდა საღამოს შვიდ საათამდი მე ყურში უთხარი ვასოს ეს არის, რომ მითხარი იმისთანა ადგილას წაგიყვან მიდღემჩი არ გენახოსო?! მაიცა, შე იმერელო, ჯერ ადრეაო მითხრა. გავათავეთ სადილი, გამოვედით, ჩავჯედით ტრამაია, თუ რაცხა ჯანდაბა და მოვადინეთ მუშტაიდში ბრეგა. შეხვალ რა შეხვალ ვნახე რა ვნახე!... თელი ფილისის ოფჩესტვა იქინა იყო. დავჯედით, მოვითხოვეთ ყველაფერი, რაც პადვალში დაგვაკლდა. დასცხო მუზიკამ, ეიწია ფარდა, რა გამევიდა!... ულამაზესი ქალი, კაბა წელამდის ქონდა აფატრული, იკივლა, იჩხავლა, ერთი ფეხი აწია, მეორე გეიქნია და გეიქნია—გამევიდა მეორე, მესამე, მეოთხე, მარა ბოლოს რო ვნახე მტერმა ნახა! ის ოჯახ დასაქცევი ამდენი ოფჩესტვოს წინ სულ ტიტველი არ გამევიდა!... დოუარა ცეკვას, მარა რა დოუარა, შეტრიალდა, მარა რა შეტრიალდა, იკივლა, იჩხავლა და გავარდა. გამევიდა ეშმაკათ ჩაცმული ქალი ისიც ტიტველი, შეატრიალა მუცელი მიქანჯა-მეიქანჯა და ე! იმისთანა ფინტურა გააკეთა, წავხდი კაცი, შემრცხვა, ველარ შევხედე და ჩავღუნე თავი. ჩამეიშვა ფარდა.

ხომ კაი იყო, მკითხა ვასომ.

კაი კი არა, ჩემო ძმაო, აქანა ყოფილა გარყვნილების ბუდეთქვა—თქვი. გევიხედე ეს აუარებელი ჯარი ქალების, რომლებიც თამაშობდენ, ჩამევიდენ ძირს და მეედვენ სტოლებს, შეიქნა კისკისის ხარხარი, შეიქნა შამფანცქების ბათქა-ბუთქი, პრაშტა-პუშტი, ჩააქრეს ელექტრონი, გაანათეს, კიდო ჩააქრეს, კიდო გაანათეს, ე! ე! ე! ახლა კი დევილუპეთქვა ვთქვი და წამოვარდი, ვეტაკე ვასოს და უთხარი წავიდეთ, ძმაო, წავიდეთ, [illegible] გადვირიე კაცითქვა. ვასომ ხარხარი [illegible] იწყო. გადამაშვლეპიეს 18 მან. 70 კაპ. და გამევედით, კაი მასპინძლობა [illegible]ნიათ ქალაქლებსთქვა, [illegible]

აბა ახლა კიდო [illegible] გილო, რა მენდოვლება [illegible] ნამდი ორი კაპიკი მაქ ჯიბეშითქვა და მერე ან ტავარით, ან ზაგაჲთ თუ გამაგზანით, თვარა მე აწი ქუთეისის ნახვას ველარ ვღირსებითქვა. არა ძმაო გამიშვით ქუთეიში, ისევე იქ მირჩევნია, იქინა სხვა მაინც მპატიჟებს, აქანა რავარც ვატყობ სტუმარი ყოფილა მასპინძელითქვა. წევედით იმ სხვაგან უკეთეს ადგილს და იქ კი რა დაგვემართა, რა იყო, აღარ მახსოვს ეს კი კარგათ მახსოვს და ვნახე კიდეც, რომ მეორე დღეს ჩემს ნომერში ვიწევი, ჯიბეები გავშინჯე და მარტო, რავარც იქნა, პოტმანში ორ-შაურიანი, ისიც მიკუჭული კიდეში ვნახე.

აბა ფილიპე ბარბაქაძე, რავა ხარ ჭკუაზე? დევეკითხე ჩემს თავს, ხომ გეუბნებოდენ ქუთეისში ნაცნობები „რა გინდა, ნუ მიდიხარო" რას აპირობ, ან გასტინიცას რას უშობი, ან გზის ფულსთქვა. ჩევიცვი და აბუზული ინდოურივით გამევედი გოლოვინსკზე. ასე მეგონა ქვეყანამ იცის რო ჯიბეში არაფერი არა მაქთქვა. გევიხედე, იმე, გაგახარა ღმერთმა! ქე არ შემხვდა ქუთეისიდამ ჩამოსული სერ... უ! შენ გენაცვალე ყანყრატოშითქვა,— უთხარი. ალბათ გჭირდები და მიტო გაგიხარდა ჩემი ნახვაო და ერთი ძალიანი დამისისტრიქინა.

აპა, მიშველე ჩემო სერ... ასეა ჩემი საქმეთქვა. ააშენა ღმერთმა, მოუხსნა პორტმანს თავი, გევისტუმრე გასტინიცა და ვდურთე ვაგზალზე თავი, ვიყიდე ბილეთი, ჩავჯედი ვაგონში და რომ დაიძრა პოეზდი, გადვიხედე ფანჯარაში, გადავხედე თფილის და ვთქვი: თფილისელებო, მოგახმაროსთ თქვენი მუშტაიდი, ის კიდო რაცხა იყო, გასტინიცები და თქვენი მასპინძლობაცთქვა. ჩამევედი ჩემს გახრიკულ ქუთეისში და რაც აქანა კიდო ამ ორ დღეში დღე დამადგა, იმას შემდეგ მოგახსენებე.

**კიდო ფილიპე ბარბაქაძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

**საპნის გასაკეთებელი „სოდა"**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში") ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.**

**სამკურნალო აბანო**

**პ. ვ. ოზოლაძის**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.